ხელშეკრულება N 3/2703031101/21
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი

6 აპრილი 2020 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

საქართველოს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი წოწკოლაურის სახით** და **შპს „Weekend",** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **ბონდო გოლეთიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, ,,საქართველოს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით, ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 მარტის N176 დადგენილებით დამტკიცებული (,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვისათვის საჭირო საშუალებების შესყიდვა“) (პროგრამული კოდი 2703031101), ასიგნებების ფარგლებში, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N184 დადგენილებისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას პირადი დაცვის საშუალებების (CPV კოდი: 33100000, 38412000), შესყიდვაზე.

1[1] პრეამბულა

მსოფლიოში განვითარებული პანდემიის პირობებში, ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების ხელშეშლისა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების გატარების მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულების გაფომებით, მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელმა უნდა მოამარაგოს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19 გავრცელების ხელშეშლისათვის საჭირო დეფიციტური პროდუქციით.

პანდემიის შედეგად მსოფლიოში დაწესებული საკანონმდებლო შეზღუდვების პირობებში და ასეთი პირობების გათვალისწინებით, მიმწოდებელი აცხადებს, რომ იგი გამოიყენებს ყველა არსებულ საშუალებას იმისათვის, რომ შეასრლოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები - შესაძლებლობის ფარგლებში. თავის მხრივ, შემსყიდველი აცხადებს, რომ იგი როგორც კეთილსინდისიერი პარტნიორი, სრულად შეუწყობს ხელს მიმწოდებელს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში, არსებული საყოველთაო ფორს-მაჟორის გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების თანახმად, "მიმწოდებელი" მიაწვდის, ხოლო "შემსყიდველი" შეისყიდის წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 მუხლით გათვალისწინებულ საქონელს (შემდგომში – შესყიდვის ობიექტი") და უხდის "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ ფასს.

2.2. ,შესყიდვის საგანი" და მისი მახასიათებლები:

2.2.1. ,,შესყიდვის ობიექტის“ ჩამონათვალი, მისი მახასიათებლები და ღირებულება განისაზღვრება თითოეული შემსყიდველისათვის, დანართის „ფასების ცხრილისა“ და 2020 წლის 4 აპრილის N Covid 04042019 -1 ინვოისის შესაბამისად, რომელებიც დანართი N1-ის და დანართი N2 სახით ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ,,მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს "შესყიდვის ობიექტის" ჩამოტანას საქართველოში და შემსყიდველისთვის გადაცემას შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N144

2.3.1. ,,შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების საბოლოო ვადაა წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით გათვალისწინებული თანხის სრულად ჩარიცხვიდან 13 სამუშაო დღე. მიწოდების საბოლოო ვადა შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს) მხოლოდ მომწოდებელ/გამომგზავნ/წარმოების ქვეყანაში ან საქართველოს ტერიტორიაზე დაწესებული საგანგებო რეჟიმის/გამკაცრებული რეჟიმის ან სხვა რეგულაციების გამო, რომლის შესახებაც წინასწარ ეცნობება შემსყიდველს წერილობით (შესაბამისი მტკიცებულებით), რაც წარმოადგენს მიწოდების ვადის ავტომატურად გადაწევის საფუძველს.

2.3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, წერილობითი შეტყობინებით, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუკი ხელშეკრულების ღირებულების 100 % ასახული არ იქნება მიმწოდებელის საბანკო ანგარიშზე, ხელშეკრულების 3.2. მუხლით გათვალისწინებულ ვადაში.

2.4. მხარეები თანხდებიან, რომ პროდუქციის უნაკლოობისა და ხარისხის - წარმოების ადგილზე შემოწმების მიზნით, მიმწოდებელი მწარმოებელ ქვეყანაში უზრუნველყოფს სპეციალური დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის დაქირავებას, (რომლის ხარჯებსაც აანაზღაურებს თავად მიმწოდებელი) და მათი საშუალებით პროდუქციის შესაბამისობისა და ხარისხის შემოწმებას ადგილზე - შესყიდვის ობიექტის გამოგზავნამდე. პროდუქციის შემოწმების შემდეგ, ექსპერტების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ერთიანი დასკვნა. აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს და ადასტურებს, რომ შესყიდული პროდუქცია არის უნაკლო და სრულად შეესაბამება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

პირობებს. შემსყიდველი ვალდებულია არაუგვიანეს ერთი დღისა გაეცნოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას (შემდგომში ,,დასკვნა“), რომელიც მიეწოდება შემსყიდველს ინგლისურ ენაზე, ელ. ფოსტის მეშვეობით. თუკი დასკვნისმიწოდებიდან ორი დღის განმავლობაში, შემსყიდველი არ გამოთქვამს პრეტენზიას დასკვნაში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ - ითვლება, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი/მახასიათებლები და უნაკლოობა დადასტურებულია შემსყიდველის მიერ და პრეტენზია შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივ/მახასიათებლების შეუსაბამობასთან და ნაკლთან დაკავშირებით აღარ დაიშვება.

2.5. „შესყიდვის ობიექტის“ შემსყიდველისათვის გადაცემა დასტურდება მხარეთა (საქონლის მიწოდებასა და მიღებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან მიითვალონ პროდუქცია, რომლის ხარისხობრივი შესაბამისობა და უნაკლოობაც უკვე დადასტურებულია დასკვნის საფუძველზე (ხელშეკრულების 2.4. მუხლი) და დაუყოვნებლივ გააფორმონ მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ,,შემსყიდველი“ ადასტურებს, რომ მიღებული ,,საქონელი“ შეთანხმებული რაოდენობისაა და ნივთობრივად უნაკლოა. ამასთანავე შესყიდული პროდუქციის თითოეული პოზიციის რაოდენობაში 1%-იანი სხვაობა/უხარისხობა (მწარმოებელი ქარხნის პირობის შესაბამისად) არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.

2.5.1. თუკი მიღება-ჩაბარების დროს გამოვლინდა შესყიდვის ობიექტის თითოეული პოზიციის რაოდენობაში 1%-ზე მეტის ქარხნული წუნი/დანაკლისი, დასაშვები ქარხნული წუნის რაოდენობასა და გამოვლენილი წუნიანი პროდუქციის რაოდენობის სხვაობაზე მოქმედებს ხელშეკრულების 4.5. მუხლი და 1 %-ზე მეტი წუნიანი პროდუქციის მიმართ, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, შესრულედება 4.5.ა ან 4.5.ბ მუხლით გათვალისწინებული პირობა. შესაბამისად, მხარეები დაუყოვნებლივ აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს უნაკლო პროდუქციის რაოდენობაზე და წერილობით შეთანხმებას ნაკლიანი პროდუქციის შეცვლის (შესაბამისი ვადისა და მახასიათებლების მითითებით) ან ნაკლიანი პროდუქციის შესაბამისი ღირებულებით - სახელშეკრულებო ღირებულების შემცირების თაობაზე, რაც წარმოადგენს ვალდებულებების დასრულების დამადასტურებელ აქტს ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის.

2.6 შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი - გურამ გიორგობიანი.

2.7. მხარეები თანხმდებიან, რომ ,, შესყიდვის ობიექტის “ ,,შემსყიდველისათვის“ გადაცემის მომენტიდან ,,შემსყიდველზე“ გადადის ,, შესყიდვის ობიექტის “ შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.

3. **ანგარიშსწორების წესი და პირობები**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 მუხლით გათვალისწინებული, შესყიდვის ობიექტის“ მთლიანი ღირებულება (საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით) შეადგენს 1 329 680 (ერთი მილიონ სამას ოცდაცხრაათას ექვსას ოთხმოცი) **აშშ დოლარს, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.**

3.2. ხელშეკრულების 3.1. მუხლით გათვალისწინებული ,, შესყიდვის ობიექტის “ მთლიანი ღირებულება შემსყიდველის მიერ **გადახდილი იქნება წინასწარ, მიმწოდებელის მიერ თანაზომიერ თანხაზე (მხარეთა შეთანხმებით, მიმწოდებლის მიერ წარდგენილ საბანკო გარანტიასა და შემსყიდველის მიერ ჩარიცხულ თანხას შორის, დასაშვებია მცირედი განსხვავება, შესაძლო კურსთაშორისი ცვალებადობიდან/სხვაობიდან გამომდინარე, აღნიშნული სხვაობა დაკორექტირდება და გასწორდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საბოლოო ანგარიშსწორებისას) საბანკო გარანტიის წარდგენიდან მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებელის შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით: სს. ,,თიბისი ბანკი“, ანგ. # GE95TB7479836080100002.**

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს თითოეულ შემსყიდველს საქართველოში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული საბანკო გარანტია, დანართი N1-ით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 100 %-ზე, როგორც გარანტია იმისა, რომ შემსყიდველს შეეძლება დაიკმაყოფილოს თავისი ფულადი მოთხოვნები, თუკი მიმწოდებელი დაარღვევს ნაკისრ ვალდებულებას და არ მიაწვდის შესყიდვის ობიექტს შემსყიდველს ან წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება სხვა საფუძვლით. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წინასწარ ანგარიშსწორების საბანკო გარანტია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 დღისა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2020 წლის 5 მაისისა.

3.4 შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის საქონელზე მოქმედ სტანდარტებს და ხელშკრულების 2.4. მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი/დადასტურებული დასკვნის მონაცემებს;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს შესყიდვის ობიექტი წინამდებარე ხელშეკრულების 2.3.1 მუხლით გათვალისწინებული ვადის დაცვით და გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. მუხლით გათვალისწინებული წესით.

4.3. მხარეთა პასუხისმგებლობა მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.4. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი, შესაბაისად წარმოადგინოს უტუარი ისნპექტირების დასკვნა - პროდუქციის წარმოების ადგილიდან;

4.5. მიმწოდებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან შესყიდვის ობიექტის რომელიმე ნაწილის შემსყიდველისათვის მიუწოდებლობისათვის, თუკი აღნიშნული გამოწვეულია მწარმოებლის ბრალით. თუკი, შემსყიდველი, ხელშეკრულების 2.4. მუხლით გათვალისწინებული წესით გამოთქვამს პრეტენზიას შესყიდვის ობიექტის ხარისხთან ან უნაკლოობასთან დაკავშირებით ან თუ ინსპექტირების დასკვნის/ინსპექტირების ჯგუფის მიერ მოწოდებული ოფიციალურ შეტყობინების

მიხედვით, ნათელია რომ პროდუქცია არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ასეთი ვითარების დადგომისას, მხარეები შეთანხმდებიან:
ა) ნაკლიანი პროდუქციის ნაცვლად სხვა პროდუქციის მიწოდების შესახებ ან
ბ) სახელშეკრულებო თანხის პირდაპირპროპორციულად შემცირების შესახებ (თუ ნაკლის გამოსწორება/ნივთის შეცვლა მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს), ცვლილება დანართის სახით დაერთვება ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების/დასრულების დამადასტურებელ საბოლოო დოკუმენტს.
4.6. თითოეული მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს პირგასამტეხლო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევისათვის, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.01 %-ის ოდენობით, თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგსამატხელოს მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით.
4.7. მხარეთა პასუხისმგებლობა, რაც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებათა შესაბამისად. მხარეები ვალდებულნი არიან აუნზღაურონ ერთმანეთს ზიანი სრული მოცულობით.

5. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორით), კერძოდ – ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, ეპიდემიის, საქართველოს მთავრობის, ცენტრალური და/ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შედეგად, საქონლის მწარმოებელ ქვეყანაში მიღებული ახალი რეგულაციებით/შეზღუდვებით, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ახალი რეგულაციებით და სხვა მოვლენებით, თუკი ამ ვითარებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, მხარე ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს და წარუდგინოს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვადები გადაიწევს იმ პერიოდით, რა ხანგრძლივობითაც არსებობდა ასეთი ვითარება და თუ ასეთი ვითარება გაგრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტი ვადით ან იმთავითვე ნათელია, რომ შეუძლებელი იქნება ხელშკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ მოახდინონ ანგარიშსწორება ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების შესაბამისად, გაწეული აუცილებელი დანახარჯების გამოკლებით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მაისამდე. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.
6.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, დამრღვევი მხარისათვის დამატებითი გონივრული ვადის დაწესების უშედეგოდ გასვლის შემდეგ. დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის ხელშეკრულების 2.3.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
6.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, მათ შორის: საყოველთაო პანდემიის პირობებში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან გამნელების საფუძვლით.

7. **ხელშეკრულების ცვლილება:**

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია და არგუმენტაცია.
7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სხვა პირობები

8.1მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
8.2 ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე. მხარის პრეტენზია განიხილება მეორე მხარის მიერ მისი წერილობით ფორმით

მიღების დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. მხარეები თანხმდებიან, რომ დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წამოჭრილ დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

8.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით.

მხარეები აღიარებენ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის იურიდიულ ძალას (ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა) და თანხმდებიან, რომ ისინი არის მართებულად შედგენილი და ისეთივე ძალის მქონე, როგორიც ჩვეულებრივი გზით გაფორმებული ორიგინალი დოკუმენტები.

8.4„ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად;

9. მხარეთა ხელმოწერა:

შემსყიდველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: №202486559 ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900 _____ **გიორგი წოწკოლაური** **მინისტრის მოადგილე**	**მიმწოდებელი:** შპს „Weekend“, მისამართი: მცხეთის ქუჩა 45, ტელეფონი: 599555115, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№ GE95TB7479836080100002. , სს „თიბისი ბანკი“, კოდი:TBCBGE22, სკ - 404420649 _____ **ბონდო გოლეთიანი** **დირექტორი**

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2020.04.06 12:00:56 +04'00'

ხელშეკრულების დანართი N1
ფასების ცხრილი

საქონლის დასახელება	**რაოდენობა**	**განზომილების ერთეული**	**ერთ. ფასი**	**ჯამური ღირებულება**
Powercon KN95 სტანდარტის სახის პირბადე	100 000	ცალი	1.67 აშშ დოლარი	167 000 აშშ დოლარი
KN95 სახის პირბადე	10 000	ცალი	1.62 აშშ დოლარი	16 200 აშშ დოლარი
უკონტაკტო ციფრული ინფრაწითელი თერმომეტრი D380S	1 000	ცალი	39.83 აშშ დოლარი	39 830 აშშ დოლარი
უკონტაკტო ციფრული ინფრაწითელი თერმომეტრი D380	1 000	ცალი	34.75 აშშ დოლარი	34 750 აშშ დოლარი
ერთჯერადი სამედიცინო ტანსაცმელი (ანტი-სინთეთიკური სისხლისგან დაცვა; კატეგორია 2 გამოიყენება საავადმყოფოებში)	40 000	ცალი	14.83 აშშ დოლარი	593 200 აშშ დოლარი
ერთჯერადი სამედიცინო ტანსაცმელი (ანტი-სინთეთიკური სისხლისგან დაცვა; კატეგორია: 6, გამოიყენება საავადმყოფოებში და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში)	10 000	ცალი	18.22 აშშ დოლარი	182 200 აშშ დოლარი
სამედიცინო ყელიანი ბახილი	50 000	წყვილი	0.53 აშშ დოლარი	26 500 აშშ დოლარი
სახის პირბადე –3 შრიანი ერთჯერადი	1 000 000	ცალი	0.27 აშშ დოლარი	270 000 აშშ დოლარი

შენიშვნა: საქონლის ღირებულება მითითებულია აშშ დოლარში, ანგარიშსწორების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად

„შემსყიდველი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: №202486559
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „Weekend“
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
საბურთალოს ქ., №59"ბ", ბ.№35
საიდენტიფიკაციო კოდი: 404420649
ს.ს. „“
ბანკის კოდი:
ა/ა

ბონდო გოლეთიანი
დირექტორი

INVOICE

გამყიდველი

შპს Weekend

მცხეთის ქუჩა 45, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: (599) 555115

დირექტორი: ბონდო გოლეთიანი

ს/კ: 404420649

INVOICE #	DATE
Covid04042019-1	04.04.2020

შემსყიდველი

CUSTOMER ID	TERMS
1	100% წინასწარი გადახდა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ს/კ: 202486559

აკაკი წერეთლის გამზირი №144.

ქ. თბილისი, 0119, საქართველო

საკონტაქტო პირი: ალექსანდრე მამალაძე

amamaladze@moh.gov.ge

ტელ: (577) 141459

ფასები მოცემულია აშშ დოლარში და ანაზღაურება უნდა მოხდეს გადახდის დღეს საქართველოს ერობნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით

DESCRIPTION	QTY	UNIT PRICE	AMOUNT
3 შრიანი ერთჯერადი სახის პირბადე	1000000	0.27	270,000.00
Powercon KN95 სტანდარტის სახის პირბადე	100000	1.67	167,000.00
KN95 სახის პირბადე	10000	1.62	16,200.00
ერთჯერადი სამედიცინო ტანსაცმელი კატეგორია 2	40000	14.83	593,200.00
ერთჯერადი სამედიცინო ტანსაცმელი კატეგორია 6	10000	18.22	182,200.00
უკონტაქტო ციფრული თერმომეტრი D380	1000	34.75	34,750.00
უკონტაქტო ციფრული თერმომეტრიD380S	1000	39.83	39,830.00
სამედიცინო ბაჰილები (წყვილი)	50000	0.53	26,500.00

Thank you for your business!

	შედეგი	1,329,680.00
ბანკის დასახელება: ს.ს. თბისი ბანკი	განაკვეთი	0%
მიმღები: შპს WEEKEND	დღგ	-
ანგარიშის ნომერი: GE95TB7479836080100002	**ჯამი**	**$ 1,329,680.00**

ბანკის კოდი: TBCBGE22

გადახდის პირობა: 100% წინასწარ საბანკო გარანტიის საფუძველზე

მოწოდების პირობა: პირველი გადახდიდან 10 სამუშაო დღე

If you have any questions about this invoice, please contact

[Bondo Goletiani, 599555115, bondo.goletiani@gmail.com]